

ტესტის სახელწოდება

ჰემოგლობინი

ტესტის ალტერნატიული დასახელება

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ჰემოგლობინი არის ცილა, რომელსაც ერითროციტები შეიცავენ. ჰემოგლობინს ჟანგბადი ფილტვებიდან ქსოვილებსკენ გადააქვს და ამგვარად ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმში.

სისხლში ჰემოგლობინის დონე დამოკიდებულია ერითროციტების რაოდენობაზე. მოცემული ანალიზი გამოიყენება იმ დაავადებების სკრინინგისთვის, დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის, რომლებიც ჰემოგლობინსა და ერითროციტებზე ახდენენ გავლენას. ჰემოგლობინის ანალიზი, როგორც წესი, სხვა ანალიზებთან ერთად ინიშნება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ჰემოგლობინის ტესტი სისხლის საერთო ანალიზის ნაწილია და ხშირად ინიშნება ისეთ ანალიზებთან ერთად, როგორებიცაა მაგალითად, ჰემატოკრიტი და ერითროციტების საშუალო მოცულობა. ჰემოგლობინის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს ზოგადი სამედიცინო შემოწმებისას, ან როდესაც პაციენტს აღენიშნება ანემიის, პოლიციტემიის ან ერითროციტებთან და ჰემოგლობინთან დაკავშირებული სხვა რომელიმე დაავადების ნიშნები.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება. სისხლს იღებენ ვენიდან ან თითის წვერიდან.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

ჰემოგლობინის დაბალი დონე სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორის:

- რკინის დეფიციტი ან B12-ის დეფიციტი
- ანემიის სხვადასხვა ტიპი
- სისხლის ქრონიკული კარგვა
- ზოგიერთი ტიპის კიბო

ჰემოგლობინის მომატებული დონე შეიძლება ახლდეს:

- პოლიციტემიას
- თამბაქოს მოხმარებას
- ფილტვების დაავადებებს
- გულის თანდაყოლილ დაავადებებს